ინფორმაცია

„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტზე “ მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსული რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

№1	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
1.	**საფინანსო საბიუჯეტო კომისია** დადებითად აფასებს მომავალი წლის მაკროეკონომიკური პარამეტრების მიმდინარე წელთან შედარებით გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ბიუჯეტის შემოსულობების ზრდის ძირითად წყაროდ საგადასახადო შემოსავლების ზრდა იგეგმება. მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს. კომისიამ დასვა საკითხი, რომ შექმნილ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს ესაჭიროებათ მოვლა-პატრონობა რისთვისაც საჭიროა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, ფინანსური უზრუნველყოფით.	აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ,რომ ახლად შექმნილი/რეაბიტირებული პროექტების გადაცემა ხდება დანიშნულებისამებრ, რომელთა მოვლა/პატრონობა წარმოადგენს მოსარგებლის ვალდებულებას. ამავე დროს ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნული ფუნქციის შესრულებას.
2.	**საფინანსო საბიუჯეტო კომისიის** მიერ დაისვა საკითხი ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემის ნაცვლად შეიქმნას სხვადასხვა სამუშაო ადგილები და ადგილი ექნეს დასაქმების შესაძლებლობას ნაცვლად ერთჯერადი დახმარებისა.	ერთჯერადი დახმარების გაუქმება /შემცირება მაშინ როდესაც ქვეყანაში კოვიდ ვითარებაა, არ წარმოადგენს გონივრულ ნაბიჯს. რაც შეეხება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მუნიციპალური სახსრებით შეუძლებელია.
3.	**საფინანსო საბიუჯეტო კომისიის** მიერ დაისვა საკითხი , ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები უპატრონო ცხოველების ოპერირებისათვის არის არამიზნობრივი ხარჯვა, საჭიროა საკითხის გლობალური გადაწყვეტა.	გასათვალისწინებელია. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმაროს აღნიშნული საკითხის გლობალურ დონეზე გადასაწყვეტად. მანამდე კი ბიუჯეტით განსაღვრულია 50,0 ათასი ლარი, აღნიშნული პრობლემის ნაწილობრივ მოსაგვარებლად.

№1	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დასვა საკითხი, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში არანაირი ზრდა არ ფიქსირდება სოციალური დახმარების პროგრამებით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობაზე	აღნიშნული ზრდა ფიქსირდება წარმოდგენილი პროექტის მუხლი N17 -ის 06 02 05; 06 02 07; 06 02 08 კოდებზე .
4.	**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** დასვა საკითხი, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული და მიზანშეწონილია იქნეს გათვალისწინებული თანხა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე.	აღნიშნული პროგრამა გათვალისწინებულია წარმოდგენილი პროექტის მუხლი N17-ის 06 02 09 კოდზე
5.	**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** დასვა საკითხი, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული და მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას თანხა სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად	აღნიშნული ზრდა ფიქსირდება წარმოდგენილი პროექტის მუხლი N17-ის 06 02 08 კოდზე
6.	**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** დასვა საკითხი, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში 2021 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია მმართველობის ხარჯები 677.2 ათასი ლარით.	„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განახლებულ ვერსიაში საბაზისო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1100 ლარის ოდენობით და შესაბამისად გადაანგარიშებას ექვემდებარება მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება.
7.	**კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისისა.** მიზანშეწონილია კულტურის მუშაკების ხელფასების ზრდა და საზაფხულო ბანაკების მოსაწყობად 60.0 ლარის გათვალისწინება	გათვალისწინებულია ნაწილობრივ. იგეგმება კულტურის მუშაკების ხელფასების ზრდა. საზაფხულო ბანაკების დაფინანსება განხორციელდება მოთხოვნის შესაბამისად.
8.	ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“მიზანშეწონილია ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა,ერთჯერადი დახმარების ამოღება ბიუჯეტიდან, უპატრონო ცხოველების მართვაში ბუნდოვანი ჩანაწერის ამოღება.	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ. გათვალისწინებულია** ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა. ერთჯერადი დახმარების პროგრამის გაუქმება შეუძლებელია რადგან მუნიციპალიტეტი ცდილობს ნაწილობრივ მაინც მოახერხოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერა, მაშინ როდესაც ქვეყანაში მძვინვარებს კოვიდ ინფექცია. უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებით განმარტებულია

№1	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
		წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მუხლი N14. კოდი 03 02.
9.	„ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციისათვის შესაბამისი სახსრების გათვალისწინება. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება. სამოქალაქო ბიუჯეტის დაფინანსების გაზრდა.	გათვალისწინებული იქნება ა(ა)იპ კეტილმოწყობის სამსახურის საქმიანობაში შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად. სამოქალაქო ბიუჯეტირებაზე გათვალისწინებულია 150,0 ათასი ლარი. შესაძლებელია წლის განმავლობაში დამატებითი შემოსავლების ან/და ხარჯვით ნაწილში ეკონომიების წარმოშობის შემთხვევაში, მოხდეს აღნიშნული პროგრამის დაფინანსებისზრდა.
10.	„ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია“-მიზანშეწონილია გაიზარდოს ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრის, ა(ა)იპ სათნოების სახლის, ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის სუბსიდიის ზრდა რათა მოხდეს ხელფასების ზრდა. პარკისონით დაავადებულთა ერთჯერადი დახმარების ზრდა სამედიცინო დახმარების თანადაფინასება წელიწადში ორჯერ არა უმეტეს 1500 ლარისა.	მისასალმებელია, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე აღინიშნა 2022 წლიდან დასაქმებულთა ხელფასების შესაძლო ზრდასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილია, ხელფასების ზრდა, მითუმეტეს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფიქსირდება ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი.გათვალისწინებულია და 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში გაზრდილია აღნიშნული ა(ა)იპიების სუბსიდირება 2021 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში. წლის განმავლობაში შესაძლებელია ისევ მოხდეს სუბსიდიის ზრდა, საჭიროებებიდან გამომდინარე. სამედიცინო დახმარების თანადაფინასების წელიწადში ორჯერ არა უმეტეს 1500 ლარამდე გაზრდა მოითხოვს მნიშვნელოვან რესურს. რომელიც შეისწავლება და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. პარკისონით დაავადებულთა დახმარების ზრდა

№1	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
		განხორციელდა 2021 წელს 50 ლარით. წლის განმავლობაში დამატებითი შემოსავლების ან/და ხარჯვით ნაწილში ეკონომიების წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება აღნიშნულის გათვალისწინებაც.
	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო- მიზანშეწონილია დევნილთა , 9 აპრილის ქუჩაზე ღვარსაწრეტი არხის მოწყობა, რკინიგზის სადგურიდან, სამუსიკო სკოლის მიმდებარედ გზისა და ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია. ნაგვის ურნებისა და ნაგავმზიდი მანქანის შეძენა საჯონცერტო დარბაზ ივერიის კეთილმოწყობა ქალაქის ტერიტორიაზე უპატრონო, აგრესიული ძაღლებისა და შინაური ცხოველების ხეტიალის აღკვეთა.	წლის განმავლობაში დამატებითი შემოსავლების ან/და ხარჯვით ნაწილში ეკონომიების წარმოშობის შემთხვევაში, მთავარი პრიორიტეტი იქნება დამატებითი რესურსების მაქსიმალურად მიმართვა აღნიშნულ ობიექტებზე. რაც შეეხება ნაგვის ურნებისა და ნაგავმზიდი მანქანის შეძენას, გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროექტში.

პატივისცემით: /სოფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/